

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტი

საბაკალავრო პროგრამა

ფაკულტეტის დასახელება	მწვრთნელთა ფაკულტეტი
პროგრამის სახელწოდება	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მიმართულება - მწვრთნელი სპორტის სახეობებში)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	სპორტის ბაკალავრი (BA in Sport)
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი მნათობიშვილი მანანა ტელ: 555-488-575 ელ. ფოსტა - manana.mnatobishvili@gmail.com
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	8 სემესტრი - 240 ECTS კრედიტი
პროგრამის შემუშავების თარიღი	პროგრამა დამტკიცებულია 18.03.2015წ.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	
<p>მწვრთნელთა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი (საქართველოს მოქალაქე), რომელიც შიდა საუნივერსიტეტო გამოცდისა (შესაბამისი სპორტული სპეციალიზაციის მიხედვით უნარებისა და პრაქტიკული ჩვევების შემოწმების სპორტული ტური, რომელიც პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის წინაპირობას წარმოადგენს) და ერთიანი ეროვნულ გამოცდების წარმატებით გავლის საფუძველზე უფლებას მოიპოვებს ისწავლოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის მწვრთნელთა ფაკულტეტზე. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით განსაზღვრული პირობები.</p> <p>ინფორმაცია სპორტული ტურის ჩატარების შესახებ აღწერილია 2014-2015 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების სპორტული ტურის დებულებაში, რომელიც საჯაროა - ეგზავნება ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრს და განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: sportuni.ge</p>	
პროგრამის მიზანი:	
<p>უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას. საბაკალავრო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none">• კურსდამთავრებულთა პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ეროვნული და	

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება, რაც გულისხმობს დარგის თეორიული საფუძვლების ცოდნასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობას.

- გააცნოს სტუდენტებს სპორტული წვრთნის ზოგად მეთოდური, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური, მედიკო-ბიოლოგიური და მეცნიერული საფუძვლები. იმ ცოდნის და უნარების გადაცემა სტუდენტებისათვის, რაც მათ მაღალკვალიფიციურ მწვრთნელად ჩამოაყალიბებს.
- გააცნოს სტუდენტებს ის მოვლენები და კანონები, რომელებიც საფუძვლად უდევს სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელის ცოდნის ხარისხის ამაღლებას და მიმართულია მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადების სრულყოფის გზების დამუშავებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე;
- მოამზადოს შემოქმედებითი აზროვნების მქონე მწვრთნელი, რომელიც შეძლებს საერთაშორისო სპორტული სივრცის მოთხოვნის შესაბამისად, სხვადასხვა ასაკისა და კვალიფიკაციის სპორტსმენების სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიზანმიმართულად დაგეგმვას და მაღალ დონეზე წარმართვას.
- შეუძლია სპორტის დარგში წვრთნის ზოგად მეთოდური, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური, მედიკო-ბიოლოგიური პრინციპების კრიტიკული გააზრება და კომპლექსურად მათი გაცნობიერება;
- წვრთნის პროცესში სპორტსმენის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მონაცემების შეფასება და ინდივიდუალური წვრთნის მეთოდის შემუშავება და გამოყენება;
- საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება სპორტსმენის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებისათვის, მონაცემების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, განმარტება და შესაბამისი მეთოდის დასაბუთებულად ჩამოყალიბება;
- ისეთი კურსდამთავრებულის გამოშვება, რომელიც ფლობს კვლევის ელემენტებს და შეუძლია სპორტის სფეროს თეორიისა და პრაქტიკის კვლევა და გარკვეული შედეგების დადება.

პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის 4 წლიანი.

სწავლება ოთხი წლის განმავლობაში მოიცავს 240 კრედიტს.

სასწავლო კურსი შედგება რვა სემესტრისაგან; სემესტრში 30 კრედიტი; წელიწადში 60 კრედიტი. კრედიტის ეკვივალენტობა საათებში: 1 ECTS = 25 საათი.

ერთი აკადემიური წელი : 38 კვირა.

სემესტრის ხანგრძლივობა: 19 კვირა (აქედან სასწავლო პროცესზე- 15 კვირა და სასესიო 4 კვირა)

კრედიტის მოცულობა განისაზღვრება ასტრონომიული საათით (60 წუთი)

სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა შემდეგ კატეგორიებს მოიცავს:

- **ზოგადი კურსების ბლოკი (36 კრედიტი)** - უნვითარებს სტუდენტს სამეცნიერო ტექსტებზე მუშაობისა და ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევებს. ამზადებს საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად. უმუშავებს სტუდენტებს სხვადასხვა სიტუაციებში განსხვავებულ საკითხებზე უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით ინფორმაციის მოპოვების უნარებს.
- **ბიოლოგიური კურსების ბლოკი (30 კრედიტი)** - შესწავლის სტუდენტს ადამიანის ორგანოების და მათი სისტემების ინდივიდუალური განვითარების თავისებურებებს; ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ელემენტების ფიზიოლოგიურ საფუძვლებს. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ აგებულებას და ფუნქციონირებას;

უჯრედული ფუნქციების კავშირს ორგანოთა სისტემებთან; სპორტსმენტა ჯანმრთელობის განმტკიცება-გაუმჯობესებისათვის და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისათვის ფიზიკური ვარჯიშებისა და დატვირთვების რაციონალურ გამოყენებას.

- **საბაზისო კურსების ბლოკი (44 კრედიტი)** - სტუდენტს აძლევს ცოდნას პიროვნების ცალკეული ასპექტების და მათი კვლევის მეთოდების შესახებ. უვითარებს სპორტსმენტის ფსიქოფიზიკურ ძალთა საწვრთნო პროცესზე მობილიზების პრაქტიკულ უნარებს; აცნობს ადამიანის ორგანიზმის და ცალკეული ორგანოების ფუნქციონირების თვისებურებებს ფიზიკური დატვირთვის დროს, მათი რეგულაციის და ადაპტაციის მექანიზმებს.
- **სპეციალიზაციის კურსების ბლოკი (45 კრედიტი)** - აძლევს ცოდნას სასწავლო-საწვრთნელი პროცესისათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპებისა და კონცეფციების, საწვრთნო მეცადინეობის დაგეგმვისა და ჩატარების, პედაგოგიური ხერხებისა და მეთოდების, ტექნიკური ხერხების შესრულების და სრულყოფისათვის საჭირო ჩვევების გამომუშავებისა და განმტკიცების შესახებ; გამოუმუშავებს წვრთნის პროცესის მართვის და დატვირთვების ინტენსივობის განსაზღვრის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მოძრაობათა სწავლების მეთოდების ცოდნას და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარებს;
- **სპორტული კურსების ბლოკი (31 კრედიტი)** - სტუდენტს შეასწავლის სასწავლო-საწვრთნო პროცესის მართვის მეთოდებს, საშუალებებსა და პრინციპებს, საერთო და სპეციალური ფიზიკური თვისებების ჩამოყალიბების მეთოდებს; ფიზიკური აღზრდის პროცესის ორგანიზაციის ფორმებს, მოსახლეობის სხვა და სხვა ასაკობრივი კონტიგენტის ფიზიკური აღზრდის თავისებურებებს. მომავალ სპეციალისტს უვითარებს, სხვადასხვა სპორტის სახეობების კონკრეტული მიზნებისა და სავარჯიშო პროცესების მიზანმიმართული ცვლილების შესაბამისად, სპორტსმენტებში მოძრაობითი უნარ-ჩვევების გამომუშავების და სწავლების ხერხებსა და მეთოდებს;
- **არჩევითი საგნების ბლოკი (48 კრედიტი, ასარჩევი 24 კრედიტი)** - ეს ბლოკი ითვალისწინებს როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ დისციპლინებს. არჩევითი საგნები ხელს უწყობს სტუდენტის დაინტერესების სფეროში აიღოს საგანმანათლებლო კურსი და გაიღრმავოს ცოდნა ან გამოიმუშავოს უნარები ამ მიმართულებით და სტუდენტის მიერ არჩეული საგნის სილაბუსში გაწერილია ის ძირითადი მიმართულებები და მიზნები, რომლებიც ხელს უწყობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.
- **პრაქტიკა სპეციალობაში (10 კრედიტი)** - სტუდენტთა პრაქტიკის მიზანია სპეციალობის შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში (საქმეში) განმტკიცება, პროფესიული უნარ-ჩვევების და დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილების მიღება. პრაქტიკის შინაარსი განისაზღვრება პრაქტიკის პროგრამით (სილაბუსით), რომელშიც გათვალისწინებულია სტუდენტის ინდივიდუალური დავალების შინაარსი და ვადები; პრაქტიკის მიზნები-სპეციალობის, სპეციალიზაციის და სწავლების შემდეგი საფეხურების გეგმებისა და პროგრამების გათვალისწინებით. პრაქტიკის ადგილი და პრაქტიკის გავლის თანმიმდევრობა დროის ფორმატში; სტუდენტთამიერ პრაქტიკის ანგარიშების მომზადების და დაცვის ვადები;
- **საბაკალავრო ნაშრომი (20 კრედიტი)**- საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სპეციალობის პირველ საფეხურზე დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის აკუმულაციას, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს სტუდენტის თეორიული საბაზისო ცოდნა სპეციალობაში და მის მიერ საკუთარი შეხედულებების წარმოჩენა. ნაშრომი ასევე უნდა მოიცავდეს, მცირე კვლევით კომპონენტს, რითაც წარმოჩინდება ბაკალავრის უნარი განახორციელოს კვლევა დამოუკიდებლად წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოიმუშავონ საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაციისა და კრიტიკული შეფასების უნარი.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპონენტები)

1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- ძირითადი ფუნდამენტური და ზოგადი საგანმანათლებლო კურსები და სპორტის საკითხებთან მათი ურთიერთ კავშირის განსაზღვრა;
- სპორტული წვრთნის ძირითადი თეორიული კონცეფციები, სპორტული წვრთნის დაგეგმვისა და ჩატარების პრინციპები, რომელიც მისცემს საშუალებას შეიმუშავოს ცალკეული სპორტსმენის დატვირთვა ინდივიდუალურად და გააცნობიეროს წვრთნის პროცესში წამოჭრილი პრობლემები სპორტსმენის ფიზიკურ მდგმარეობასთან დაკავშირებით.
- სპორტის სხვადასხვა სახეობებში კომპლექსური საკითხების გაცნობიერება ტექნიკური ილეთების შესწავლის, შესრულების, ჩვევების გამომუშავებისა და განმტკიცების მეთოდების კუთხით. მათი დეტალური განსაზღვრა და აღწერა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში მსაჯობის წესები და მათი კრიტიკული გააზრება.
- ადამიანის ორგანიზმის ქსოვილები, სისტემები და ორგანოები, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების ანატომიური აგებულებისა და მათი ფიზიოლოგიური თავისებურებები, რომელიც საშუალებას მისცემს განიხილოს ცალკეული წვრთნის პროცესი ინდივიდუალურად, შეიმუშავოს ინდივიდუალური დატვირთვის სქემა და გააცნობიეროს წვრთნის პროცესში წამოჭრილი პრობლემები ფიზიკური პარამეტრების შეფასების საფუძველზე.
- ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ელემენტების ფიზიოლოგიური საფუძვლები. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ანატომიურ-ფიზიოლოგიური აგებულება;
- ინდივიდუალური და ჯგუფური კომპლექსური ვარჯიშების შემუშავების პრინციპები, მათი კლასიფიკაცია სისწრაფის, ძალის, გამძლეობის, სიმარჯვისა და მოქნილობის განვითარებისათვის;
- სპორტსმენის ფსიქიკის კანონზომიერებები და თავისებურებები; ძლიერი სტრესისადმი სპორტსმენის წინააღმდეგობის გაწევის ხერხები დამეთოდები, რომელიც საშუალებას მისცემს მას სპორტსმენის დატვირთვის სქემაში გაითვალისწინოს აღნიშნული პარამეტრები;
- მასაჟის მექანიზმი და მისი ზემოქმედება ორგანიზმზე, რომელიც საშუალებას მისცემს გააცნობიეროს მასაჟის მნიშვნელობა კუნთების ტონუსის შენარჩუნებაში და ტრავმის შემდგომ სპორტული ფორმის აღდგენაში;
- სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოზარდებთან მუშაობის სპეციფიკა, ფიზიკური დატვირთვებისადმი ადაპტაციის მეთოდიკა, რომელიც საშუალებას მისცემს შეიმუშაოს მოზარდთა ფიზიკური განვითარებისათვის მიზნობრივი ადაპტური პროგრამები ინდივიდუალური ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- სპორტსმენის ჯანმრთელობის, ფუნქციური შესაძლებლობებისა და ორგანიზმში მიმდინარე პროცესების მდგომარეობა ფიზიკური დატვირთვების ზემოქმედებით;
- სპორტსმენის რაციონალური და ბალანსირებული კვების ძირითადი პრინციპები;

	<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიოს სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია, ქართველ სპორტსმენთა წარმატებები ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლისა და ევროპის ჩემპიონატებზე.
<p>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოზარდების ასაკობრივი სქესობრივი და ფუნქციური შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმოს და შეიმუშავოს ცალკეული სპორტსმენის დატვირთვა ინდივიდუალურად და განსაზღვროს დატვირთვების ინტენსივობა წვრთნის პროცესში წამოჭრილი პრობლემებთან და სპორტსმენის ფიზიკურ მდგმარეობასთან კორელაციაში; • შეიმუშაოს ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო პროგრამები, ეფექტურად გამოიყენოს სპორტული წვრთნის პროცესში ტრენაჟორები და სხვა დამხმარე საშუალებები, რაც შეამცირებს ტრამვების პროცენტულ მაჩვენებელს და უზრუნველყოფს ტექნიკური საშუალებების უსაფრთხოებას; • ადამიანის ორგანიზმის ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით შეიმუშავოს სპორტსმენის ინდივიდუალური დატვირთვის სქემა და გააცნობიეროს წვრთნის პროცესში წამოჭრილი პრობლემები ფიზიკური პარამეტრების შეფასების საფუძველზე; • სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოზარდებთან მუშაობის სპეციფიკის გამომდინარე ფიზიკური დატვირთვებისადმი ადაპტაციის მეთოდის გამოყენებით შეიმუშაოს მოზარდთა ფიზიკური განვითარებისათვის მიზნობრივი ადაპტური პროგრამები ინდივიდუალური ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით; • სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების პროცესში ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, სპორტ თამაშებისა და სპორტის სხვა სახეობების საპროგრამო მასალის მიზანმიმართულად და კრეატიულად გამოყენებას; • სპორტსმენების მომზადების დაგეგმვა მის ყველა ასპექტში (ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური, ფსიქოლოგიური) მოვარჯიშეთა ასაკობრივ-სქესობრივი და სპორტული კვალიფიკაციის გათვალისწინებით; • სპორტული წვრთნის პროცესში განსაზღვროს სპორტსმენის მუშაობისუნარიანობის ამაღლების, ფიზიკური დატვირთვებისადმი ადაპტაციის მეთოდის, ჩაატაროს აღმდგენი და ჰიგიენური მასაჟი; • შეამოწმოს სპორტსმენის ფიზიკური პარამეტრები, მათი შესაბამისობა ნორმასთან და სპორტული დატვირთვის რეჟიმთან (გასინჯოს არტერიული წნევა, პულსი, სუნთქვის სიხშირე და ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა); • შეარჩიოს სპორტსმენის კვების რაციონი, რომელიც ხელს შეუწყობს წვრთნის პროცესის ეფექტურობის ამაღლებასა და ფიზიკური შრომისუნარიანობის აღდგენას; • სპორტის შესაბამის სახეობაში დეტალურად განსაზღვროს და აღწეროს ტექნიკური ხერხების შესრულების, ტაქტიკური აზროვნების გამომუშავებისა და განმტკიცების მეთოდები; • განმარტოს სპორტის შესაბამის სახეობაში შეჯიბრების ორგანიზაციის მეთოდები, ჩატარების სისტემები და მსაჯობის წესები; • შეიმუშაოს ინდივიდუალური სავარჯიშო პროგრამები დაფიზიკური,

	<p>ტექნიკური, ტაქტიკური და ფსიქოლოგიური მომზადების გეგმები.</p>
<p>3. დასკვნის უნარი</p>	<p>კურს დამთავრებულს შეეძლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • არსებული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრისათვის შესაბამისი ხერხებისა და გზების შერჩევის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; • სასწავლო-საწვრთნო გეგმის საფუძველზე რელევანტური დატვირთვის შემუშავებას, სპორტსმენის ფიზიკური მონაცემების მონიტორინგის წარმოებასა და საჭიროების შემთხვევაში გეგმის მოდიფიცირებას; • ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, შეფასება და დასკვნის გამოტანა. • სპორტის სფეროში ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე რეფერატის/მიმოხილვის დაწერა; • გამოყენებული ლიტერატურული წყაროების კრიტიკულად შეფასება, დასკვნების გაკეთება და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება; • ასაკობრივი, სქესობრივი და ფიზიკური პარამეტრების ანალიზი ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე რელევანტური დატვირთვის გეგმის შემუშავება; • ფიზიკური პარამეტრების შეფასების, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო პროგრამების შემუშავება, რომლებიც შეამცირებენ მოსალოდნელი ტრავმების პროცენტულ მაჩვენებლებს და უზრუნველყოფენ სპორტული წვრთნის პროცესში ტრენაჟორებისა და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენების უსაფრთხოებას; • მოზარდების ასაკობრივი სქესობრივი და ფუნქციური შესაძლებლობების შეფასება, ანალიზი და ცალკეული სპორტსმენის ინდივიდუალური დატვირთვის შემუშავება; • ადამიანის ორგანიზმის ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით შეიმუშავოს სპორტსმენის ინდივიდუალური დატვირთვის სქემა და გააანალიზოს წვრთნის პროცესში წამოჭრილი პრობლემები ფიზიკური პარამეტრების შეფასების საფუძველზე.
<p>4. კომუნიკაციის უნარი</p>	<p>კურს დამთავრებულს შეეძლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ სპორტულ საზოგადოებაში, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარი პოზიციების დაცვა და აზრის ჩამოყალიბება; • მშობლიურ ენაზე იდეების, სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა; • ინგლისურ ენაზე კომპლექსური საკითხის ან კითხვის ფორმულირება/ ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად; • თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა; • მიზნობრივად ინფორმაციის მოძიება, შენახვა და მისი რელევანტურად

	<p>გამოყენება;</p> <ul style="list-style-type: none"> • მოლაპარაკებების, პრეზენტაციების და შეხვედრების წარმართვა. • მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალიზაციის უნარი ახალ გარემოში.
<p>5. სწავლის უნარი</p>	<p>კურს დამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეძლებს საკუთარი სწავლის პროცესის მართვას რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; • შეძლებს საკუთარი სწავლის შეფასებას და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრას; • საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით შეძლებს მოიძიოს ინფორმაცია და გაიმდიდროს ცოდნა; • შეგნებული ექნება უწყვეტი სპორტული განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა. • შეაფასებს საკუთარ პროფესიულ შესაძლებლობებს და შეძლებს ცოდნის გაფართოებას საჭირო მიმართულებით.
<p>6. ღირებულებები</p>	<ul style="list-style-type: none"> • მონაწილეობას მიიღებს სპორტის სფეროს და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში. • გაცნობიერებული აქვს სპორტის მნიშვნელობა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისათვის. • აფასებს ქართველი სპორტსმენების წარმატებებს საერთაშორისო არენაზე. აცნობიერებს ოლიმპიური მოძრაობის იდეებსა და ღირებულებებს. • აფასებს სპორტში კეთილსინდისიერ ბრძოლას და აკრიტიკებს არასამართლიანი გზით გამარჯვების მოპოვების მცდელობას; • ღირებულებათა სისტემის გათვალისწინებით შეუძლია საკუთარი კომპეტენციის არეალის განსაზღვრა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში მუშაობა; • იცის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აუცილებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება/აღდგენისა და პროფილაქტიკისათვის; • სპორტსმენის რელევანტური დატვირთვისა და წვრთნის პროგრამის შემუშავების აუცილებლობა მისი სპორტულ კარიერაში წარმატებისათვის.
<p>სწავლის ფორმატი</p>	
<p>სწავლების ფორმატიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: ლექცია, სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობა</p>	
<p>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები</p>	
<ul style="list-style-type: none"> • საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება; • შესრულებული სამუშაოს უთიერთშეფასება; • ანალიზი - მოძიებული სასწავლო/ინოვაციური მასალის განხილვის საფუძველზე; • მასალის ზეპირი პრეზენტაცია; • დებატები/დისკუსია; • ალბომის წარმოება; • ბლიც გამოკითხვა; • ანალიზი; • შუალედური შემოწმება; 	

- დასკვნითი გამოცდა;
- სიტუაციური ამოცანა;
- ტესტი;
- ქვიზი;
- კონსულტაცია.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები /რესურსები

- ბიბლიოთეკა
- სადემონსტრაციო დარბაზი
- აუდიო (ვიდეო) აპარატურა
- საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი
- სპორტის სახეობების მიხედვით შესაბამისი ინფრასტრუქტურით გაწყობილი სასწავლო-საწვრთნელი შენობები: სტადიონი, დარბაზები, საცურაო აუზი, კორტები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91% –100%;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

დასკვნითი გამოცდა ტარდება მე-16 და მე-17 კვირას.

დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან

არანაკლებ 10 დღის ვადაში 18-ე და19-ე კვირას.

სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - სემესტრული შეფასება, 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. გამოცდაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 11 ქულა.

სემესტრული შეფასების 60 ქულიდან 40 ქულა განსაზღვრულია სტუდენტის ცოდნის ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდებით შეფასებაზე, ხოლო 20 ქულა შუალედური გამოცდის. სემესტრული შეფასების კომპონენტებს კურსის ხელმძღვანელი ირჩევს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სემესტრული შეფასების კომპონენტებია:

- მასალის ზეპირი პრეზენტაცია;
- ალბომის წარმოება;
- ბლიც გამოკითხვა;
- ანალიზი;
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
- ტექნიკური უნარების დემონსტრირება;
- ქვიზი;
- ქეისი;

შუალედური გამოცდა : ტარდება ტესტის სახით.

დაკვნიტი გამოცდა: ტარდება ტესტის სახით.

სწავლის გაგმელების შესაძლებლობა

ბაკალავრს, რომელმაც ისწავლა მწვრთნელთა ფაკულტეტზე შეუძლია სწავლა და კვლევითი მუშაობა გააგმელოს მაგისტრატურაში.

დასაქმების სფერო

მწვრთნელთა ფაკულტეტის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს მწვრთნელად ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში, სპორტულ კლუბებში, სხვადასხვა ასაკის ნაკრებ გუნდებში. მეთოდისტად (სპეციალისტად) სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციებში, გამაჯანსაღებელ და ფიტნეს კლუბებში. ადგილობრივ, სამხარეო და საქართველოს სპორტის მართველ ორგანოებში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება საუნივერსიტეტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები (ჩართული ინტერნეტ ქსელში); სპორტული დარბაზები, მოედნები, საცურაო აუზები თეორიული მზადებისათვის– სალექციო აუდიტორიები და ლაბორატორია.

პროგრამის სრულფასოვნად ათვისებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე ვთანამშრომლობთ:

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან და სპორტის სახეობების ეროვნულ ფედერაციებთან.

პროგრამა

სასწავლო კურსები	სტატუსი (სავალდებულო / არჩევითი)	ECTS კრედიტი/ სემესტრი	საკონტაქტო საათების რაოდენობა	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
შესავალი სპეციალობაში	ს	5 (I)	47	X	X	X	X	X	
უცხოენა (ინგლისური) – I	ს	5 (I)	47	X	X		X	X	X
უცხო ენა (ინგლისური) – II	ს	5 (II)	47	X	X		X	X	X
კომპიუტერული ტექნოლოგიები	ს	5 (I)	47	X	X	X	X	X	
ადამიანის ანატომია- I	ს	5 (I)	47	X	X		X	X	
ადამიანის ანატომია - II	ს	5 (II)	47	X	X		X	X	
ტანვარჯიში-1	ს	3 (I)	32	X	X		X	X	
ტანვარჯიში-1	ს	3 (II)	32	X	X		X	X	
მძლეოსნობა	ს	3 (I)	32	X	X			X	
მძლეოსნობა	ს	3 (II)	32	X	X			X	
აკადემიური წერა	ს	5 (II)	47	X	X		X		
სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია	ს	5 (II)	47	X	X	X	X	X	
სპეციალიზაცია-I	ს	5 (III)	47	X	X			X	X
სპეციალიზაცია-II	ს	5 (IV)	47	X	X			X	X
სპეციალიზაცია-III	ს	5 (V)	47	X	X			X	X
სპეციალიზაცია -IV	ს	5 (VI)	47	X	X	X		X	X
სპეციალიზაცია - V	ს	5 (VII)	47	X	X	X		X	X
ბიოქიმია	ს	4 (III)	47	X	X		X	X	
ფიზიკური ვარჯიშებით რეაბილიტაცია	ს	5 (III)	47	X	X	X	X	X	

მოდრავი თამაშები	ს	3 (III)	32	X	X			X	
სპორტის მენეჯმენტი	ს	5 (III)	47	X	X	X		X	X
ფიტნესი და წონის კორექცია	ს	4 (III)	47	X	X		X	X	
სპორტსმენის კვება	ს	3 (IV)	47	X	X	X	X	X	X
კალათბურთი	ს	3 (IV)	32	X	X				X
ადამიანის ფიზიოლოგია	ს	5 (IV)	47	X	X	X	X	X	X
ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდოლოგია	ს	5 (IV)	47	X	X	X	X	X	X
ბიომექანიკა	ს	5 (IV)	47	X	X	X		X	
სპორტული წვრთნის საფუძვლები - 1	ს	5 (V)	47	X	X			X	
სპორტის პედაგოგია	ს	5(V)	47	X	X		X	X	
ხელბურთი	ს	3 (V)	32	X	X		X	X	
სპორტის ფიზიოლოგია	ს	5 (V)	47	X	X	X	X	X	X
ფეხბურთი	ს	3 (V)	32	X	X		X	X	
ზოგადი ფსიქოლოგია	ს	4 (VI)	47	X	X	X	X	X	X
ცურვა	ს	4 (VI)	47	X	X	X		X	X
სპორტული წვრთნის საფუძვლები - 2	ს	5 (VI)	47	X	X			X	
ზოგადი და სპორტის ჰიგიენა	ს	5 (VI)	47	X	X		X	X	X
ჩოგბურთი	ს	3 (VI)	32	X	X			X	
სპორტის ფსიქოლოგია	ს	5 (VII)	47	X	X		X	X	X
სპორტის სოციოლოგია	ს	5 (VII)	47	X	X	X	X	X	
სპორტული მედიცინა და რეაბილიტაცია	ს	5 (VII)	47	X	X	X	X		
მეცნიერული კვლევის მეთოდები	ს	5 (VII)	47	X	X		X		X
სპორტული მასაჟი	ს	5 (VII)	47	X	X	X	X		
პრაქტ. სპეციალობაში	ს	10 (VIII)	170	X	X			X	
საბაკალავრო ნაშრომი	ს	20 (VIII)	90	X	X	X		X	

ტყვის სროლა	ა	4 (I)	32	X	X		X	X	
საერთაშორისო სპორტის დიპლომატიური საფუძვლები	ა	4 (I)	47	X	X			X	
ბუნებით სარგებლობა, ეკოლოგია	ა	4 (II)	47	X	X	X	X	X	
ჭადრაკი	ა	4 (II)	32	X	X		X	X	
საქართველოს ისტორია	ა	4 (III)	47	X	X	X	X		X
პირველადი დახმარება გადაუდებელი მდგომარეობების დროს	ა	4 (III)	47	X	X	X	X	X	
ფრენბურთი	ა	4 (IV)	32	X	X		X	X	
რუსული ენა	ა	4 (IV)	47	X	X			X	X
ადაპტური სპორტი	ა	4 (V)	47	X	X	X	X	X	
რელიგიის ისტორია	ა	4 (V)	47	X	X	X	X	X	X
სპორტისა და ტურიზმის სამართალი	ა	4 (VI)	32	X	X	X			X
მაგიდის ჩოგბურთი	ა	4 (VI)	32	X	X	X	X	X	